ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №44

20 დეკემბერი, 2024 წელი
13:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

კახაბერ ლაბუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე, ნათია მოდებაძე, გურამ ოქროპირიძე და გიორგი შარაშიძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ **(წერილი № 12-032434554-03; 10.12.2024).**

მომხსენებელი: ლევან მიქავა

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხი.**

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს ლევან მიქავას.

ლევან მიქავას მიერ მოწოდებული ინფორმაციით, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 983 178,0 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 763 354,7 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 219 823,3 ათასი ლარით, ხოლო 2025 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან (1 826 308,6 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 156 869,4 ათასი ლარით.** აღნიშნული გამოწვეულია საკუთარი შემოსულობების დაზუსტების, საქართველოს პარლამენტში „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის“ მესამე წარდგენის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიმდინარე წლის 3 დეკემბერს მიღებული წერილის (N04-03/89332) გათვალისწინებით, რომლის თანახმად გადასახადების ჯამური მოცულობა იზრდება 81 693,2 ათასი ლარით (მათ შორის ქონების გადასახადი იზრდება - 15 000,0 ათასი ლარით, ხოლო

დამატებული ღირებულების გადასახადი - 66 693,2 ათასი ლარით), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის სახით დამატებით გამოეყოფა 80 000,0 ათასი ლარი, ხოლო სხვა შემოსავლების ნაწილში მისაღები შემოსავლები მცირდება - 4 823,8 ათასი ლარის ოდენობით

გაზრდილი ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტით ასიგნებები მიიმართება **შემდეგ პრიორიტეტებზე:**

- **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 685 915,7 ათასი ლარი;**
- **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 246 495,3 ათასი ლარი;**
- **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 263 120,9 ათასი ლარი;**
- **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 3 079,5 ათასი ლარი;**
- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 47 491,3 ათასი ლარი;**
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 165 575,2 ათასი ლარი;**
- **განათლება - 261 539,9 ათასი ლარი;**
- **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 39 294,0 ათასი ლარი;**
- **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 15 779,2 ათასი ლარი;**
- **ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 254 887,0 ათასი ლარი.**

განათლებისა და კულტურის მიმართულებით, ბიუჯეტი წარმოდგენილია შემდეგნაირად: განათლება – 261 539,9 ათასი ლარი; კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა – 39 294,0 ათასი ლარი.

განათლება დაიგეგმა - 261 539,9 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (248 047,1 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 13 492,8 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში უცვლელია.

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა დაიგეგმა - 39 294,0 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (35 534,7 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 3 759,3 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (32 444,0 ათასი ლარი) მიმართებაში 6 850,0 ათასი ლარით მეტია, მათ შორის ვერის კორტების რეაბილიტაცია - 2 500,0 ათასი ლარი, ვარკეთილში მდებარე „ედელვაისის“ მოედნის რეაბილიტაცია - 4 000,0 ათასი ლარი, ხოლო კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში (გლდანი, სამგორი) - 350,0 ათასი ლარი.

განათლების სფეროს განვითარებისთვის საბიუჯეტო ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- **„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა“** (კოდი 07 01 02) – 218,588.2 ათასი ლარი;
- **„ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“** (კოდი 07 02 01) – 142.2 ათასი ლარი;
- **„მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა“** (კოდი 07 03 03) – 5,084.8 ათასი ლარი;
- **„პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“** (კოდი 07 04) – 1,000.0 ათასი ლარი;
- **„უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება“** (კოდი 07 05) – 4,113.0 ათასი ლარი;
- **„უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების** ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01) – 235.0 ათასი ლარი;
- **„სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა”** (კოდი 07 05 03) – 3,000.0 ათასი ლარი;
- **„მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა“** (კოდი 07 06 01) – 3,777.7 ათასი ლარი.

კულტურის სფეროს განვითარებისთვის საბიუჯეტო ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- **„თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა“** (კოდი 08 01) – 3,736.9 ათასი ლარი. მათ შორის, **„ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი"** (კოდი 08 01 01) – 870.1 ათასი ლარი, **„პანტომიმის სახელმწიფო თეატრი"** (08 01 02) – 767.8 ათასი ლარი, **„თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი"** (08 01 03) – 1,077.3 ათასი ლარი, **„სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი“** (08 01 05) – 605.2 ათასი ლარი, **„სამეფო უბნის თეატრი"** (08 01 08) – 416.5 ათასი ლარი;
- **„სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა“** (კოდი 08 02) – 1,994.4 ათასი ლარი;
- **„ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია“** (კოდი 08 03) – 1,854.0 ათასი ლარი;
- **„ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა“** (კოდი 08 03 10) – 208.3 ათასი ლარი;
- **„მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა“** (კოდი 08 03 12) – 1,645.7 ათასი ლარი;
- **„ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება“** (კოდი 08 04) – 2,363.6 ათასი ლარი. მათ შორის, **საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი“** (კოდი 08 04 01) – 872.6 ათასი ლარი; **„ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა“** (კოდი 08 04 03) – 441.0 ათასი ლარი.
- **„კულტურული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები“** (კოდი 08 04 04) – 1,050.0 ათასი ლარი;
- **„კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“** (კოდი 08 05) – 2,980.9 ათასი ლარი;
- **„შემოქმედებითი თბილისი“** (კოდი 08 09) – 991.6 ათასი ლარი;
- **„საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“** (კოდი 08 10) – 500.0 ათასი ლარი;

- **„თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი“** (კოდი 08 12) – 574.2 ათასი ლარი;
- **„ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა“** (კოდი 08 13) –100.0 ათასი ლარი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (წერილი №12-032434554-03; 10.12.2024) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	5
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	1 (გიორგი შარაშიძე)

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრებმა, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს საკითხს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე